



საქართველო
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის
საკრებულო



2800

ლანჩხუთი მ. კოსტავას ქ. №37

ტელ: 0494223005

N 112
17/03/2017

112-07-3-201703171745



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებს

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის მე-2 ნაწილის, „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის №13 დადგენილების 1-ლი მუხლით დამტკიცებული „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის“ მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, 82-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 36² მუხლის შესაბამისად წარმოგიდგენთ, „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საჯარო მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის თავმჯდომარის დანიშვნის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 26 სექტემბრის N88 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტს.

მოგახსენებთ, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 36² მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, დაწესებულების მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის თავმჯდომარედ როგორც წესი ინიშნება ამავე დაწესებულების ხელმძღვანელი ან მისი მოადგილე, ხოლო ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის თავმჯდომარეს ნიშნავს ადგილობრივი თვითმმართველობის საკრებულო.

გამომდინარე აქედან, მიზანშეწონილია საკრებულომ მიიღოს განკარგულება „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საჯარო მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის თავმჯდომარის დანიშვნის შესახებ“.

პატივისცემით,
გიორგი ხელაძე

საკრებულოს თავმჯდომარე

საკრებულოს ბიურო

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება №
2017 წლის მარტი
ქ. ლანჩხუთი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საჯარო მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო
კომისიის თავმჯდომარის დანიშვნის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 36² მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 61-ე მუხლის 1-ლი და მე-7 ნაწილების შესაბამისად,

მუხლი 1. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საჯარო მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის თავმჯდომარედ დაინიშნოს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ბესიკ ტაბიძე.

მუხლი 2. განკარგულების ამოქმედების დღიდან ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საჯარო მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის თავმჯდომარის დანიშვნის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 26 სექტემბრის N88 განკარგულება.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს კანონის „ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“ მე-8 თავის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად.

მუხლი 4. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ხელაძე